

**სს ხალიკ ბანკი საქართველო“-ს საბანკო ანაზრის ზოგადი პირობები იურიდიული პირებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანიზაციული წარმონაქმნებისათვის**

**1. წინამდებარე წესებში გამოყენებული განსაზღვრებები**

- 1) **ანგარიშის ბლოკირება** - ანაზართან დაკავშირებულ საბანკო ოპერაციებზე აკრძალვის ან შეზღუდვის დაწესება ბანკის პროგრამულ უზრუნველყოფაში ბანკის უფლებამოსილი პირის განკარგულების საფუძველზე;
- 2) **ანაზარი** - თანხა, რომელიც საპროცენტო სარგებლის დარიცხვის პირობით გადმოეცა ბანკს კლიენტისაგან ხელშეკრულების თანახმად. ანაზრის თანხის მიღებით ბანკი იძენს მასზე საკუთრების უფლებას და ვალდებულია ვადის დადგომისთანავე დაუბრუნოს კლიენტს მიღებული თანხა იმავე ვალუტაში. თუ ვადა განსაზღვრული არაა, თანხა შეიძლება იქნას მოთხოვნილი ნებისმიერ დროს.
- 3) **სადეპოზიტო ანგარიში** - კლიენტის საბანკო ანგარიში, რომელიც გამოიყენება მოთხოვნამდე ან წინასწარ განსაზღვრული ვადით განთავსებული ფულადი სახსრების აღრიცხვისათვის და ანაზარზე პროცენტის დასარიცხად ბანკსა და კლიენტს შორის გაფორმებული ხელშეკრულების შესაბამისად;
- 4) **საბანკო ანაზრის ხელშეკრულება ან ხელშეკრულება** - ხელშეკრულება, რომლის მიხედვით ბანკი იღებს ვალდებულებას მიიღოს კლიენტისაგან ანაზარი, დაარიცხოს მასზე სარგებელი დადგენილი ოდენობით და დააბრუნოს იგი მოქმედი კანონმდებლობით, ხელშეკრულებითა და „ზოგადი პირობებით“, რომელიც ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია, განსაზღვრული პირობებითა და წესით. „ზოგადი პირობები“ გამოქვეყნებულია ბანკის ოფიციალურ ვებგვერდზე, შემდეგ მისამართზე: [www.halykbank.ge](http://www.halykbank.ge);
- 5) **ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა** - ანაზრის თანხის სრული ან ნაწილობრივი ამოღება დადგენილ ვადაზე ადრე;
- 6) **კლიენტი** - იურიდიული პირი (გარდა კომერციული ბანკებისა), ასევე საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული ორგანიზაციული წარმონაქმნი, რომელიც არ წარმოადგენს იურიდიულ პირს (ბინის მესაკუთრეთა ამხანაგობები, ერთობლივი საქმიანობის ამხანაგობები, დაურეგისტრირებელი კავშირები), - სადეპოზიტო ანგარიშის მფლობელი საბანკო ანაზრის ხელშეკრულების შესაბამისად;
- 7) **საგადახდო დავალება** - ანგარიშის მფლობელის (გადამხდელის) მიერ საგადახდო საბუთის სახით გაფორმებული განკარგულება მისი მომსახურე ბანკისათვის, სახსრების მიმღების ამავე ან სხვა ბანკში გახსნილ ანგარიშზე ფულადი სახსრების გადარიცხვის შესახებ.

**2. ანაზრების სახეობების აღწერა**

**2.1. „ვადიანი“ საბანკო ანაზარი**

2.1.1. ანაზრის ვადა შეადგენს 3 - 24 თვეს. 24 თვეზე მეტი ვადის მქონე ანაზრები მიიღება მხოლოდ ბანკის გადაწყვეტილებით, საპროცენტო სარგებლის განაკვეთის განსაზღვრით.

2.1.2. ანაზარი მიიღება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში და უცხოურ ვალუტაში - აშშ დოლარსა და ევროში (თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული ბანკის გადაწყვეტილებით) უნაღდო ანგარიშსწორებით. ვალუტის კონკრეტული სახეობა და ანგარიშსწორების ფორმა მითითებულია ხელშეკრულებაში.

2.1.3. დარიცხული სარგებლის გადახდა შესაძლებელია როგორც ანაზრის ვადის ბოლოს, ისე ყოველთვიურად, ხელშეკრულების მოქმედების ვადის განმავლობაში (ყოველი მომდევნო თვის იმ რიცხვში, რომელშიც გახსნილი იყო ანაზარი) ანაზრის ტიპიდან გამომდინარე. თუ გადახდა ხდება ყოველთვიურად, მაშინ სარგებლის განაკვეთი განისაზღვრება, როგორც ვადის ბოლოს სარგებლის დარიცხვის პირობით ვადიან ანაზარზე განსაზღვრულ განაკვეთებს მიწუს ნოლი მთელი ხუთი მეათედი პროცენტი (-0.5%),.

**2.2. „მოთხოვნამდე“ საბანკო ანაზარი**

2.2.1. ანაზრის ვადა - უვადო;

2.2.2. ანაზარი მიიღება საქართველოს ეროვნულ ვალუტაში და უცხოურ ვალუტაში - აშშ დოლარსა და ევროში (თუ სხვა რამ არ არის განსაზღვრული ბანკის უფლებამოსილი ორგანოს გადაწყვეტილებით),

უნადლო ანგარიშსწორებით. ვალუტის კონკრეტული სახეობა და ანგარიშსწორების ფორმა მითითებულია ხელშეკრულებაში.

2.2.3. სადეპოზიტო ანგარიშზე დამატებითი შენატანების მიღება და ანგარიშიდან ნაწილობრივ თანხების გატანა ხელშეკრულების მოქმედების პერიოდში დაშვებულია.

2.2.4. სადეპოზიტო ანგარიშზე დამატებითი შენატანების მინიმალური ოდენობა შეადგენს – 1000 ლარს; 1000 აშშ დოლარს ან 1000 ევროს.

2.2.5. სარგებლის დარიცხვა ხორციელდება ყოველდღიურად ანაბრის ვალუტაში ანაბრის ფაქტიურ ნაშთზე, რომელიც არ უნდა იყოს ანაბრის მინიმალურ ოდენობაზე ნაკლები.

2.2.6. დარიცხული სარგებლის გატანა ხორციელდება ყოველი კალენდარული თვის ბოლოს კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე სარგებლის ჩარიცხვის გზით.

2.2.7. სარგებლის კაპიტალიზაცია არ ხორციელდება.

### 3. სადეპოზიტო ანგარიშის გახსნისა და წარმოების წესი

3.1. კლიენტი უფლებამოსილია ჰქონდეს ბანკში ნებისმიერი რაოდენობის ანგარიში ერთ ან რამდენიმე ანაბრის სახეობაზე.

3.2. ანაბრის გახსნა და მომსახურება უფასოა.

3.3. ბანკი ხსნის სადეპოზიტო ანგარიშს დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. ანაბრების მიღება და მომსახურება შეიძლება განხორციელდეს როგორც ეროვნულ, ისე უცხოურ ვალუტაში: აშშ დოლარი/ევრო.

3.4. ანაბრის მიღების აუცილებელი პირობაა კლიენტის მიმდინარე ანგარიშის არსებობა ანაბრის ვალუტაში, ან ამგვარის გახსნა მისი არქონის შემთხვევაში.

3.5. ანაბრის პირველადი შენატანის შეტანისას, ბანკს უფლება აქვს მოახდინოს შესაბამისი თანხების გადატანა კლიენტის მიმდინარე ანგარიშიდან სადეპოზიტო ანგარიშზე უნადლო ფორმით, ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

3.6. თუ ანაბარზე დაშვებულია დამატებითი შენატანები, სადეპოზიტო ანგარიშზე, ყოველი დამატებითი შენატანის მიღება, ხელშეკრულების მოქმედების განმავლობაში, ხორციელდება კლიენტის საგადახდო დავალების/ წერილობითი განცხადების საფუძველზე. თუ სადეპოზიტო ანგარიშიდან დაშვებულია ნაწილობრივი თანხების გაცემა, მაშინ მათი გაცემა ხორციელდება კლიენტის საგადახდო დავალების/წერილობითი განცხადების საფუძველზე.

3.7. სადეპოზიტო ანგარიშის დახურვა/დადგენილ ვადაზე ადრე ანაბრის თანხის სრული ან ნაწილობრივი ამოღება შესაძლებელია ანგარიშის დახურვის/ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტის შესახებ კლიენტის წერილობითი განცხადების საფუძველზე. კლიენტის განცხადება უნდა ინახებოდეს კლიენტის დოსიესთან ერთად. დაუშვებელია ანგარიშის დახურვა კლიენტის მხრიდან შეუსრულებელი ვალდებულებების არსებობისას, გარდა საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა.

3.8. თუნდაც ერთი ხელმოწერის ნიმუშის ან ბეჭდის ანაბეჭდის (ბეჭდის არსებობის შემთხვევაში) შეცვლის შემთხვევაში, ბანკში უნდა იქნას წარმოდგენილი ახალი დოკუმენტი ხელმოწერის ნიმუშით (ბეჭდის ანაბეჭდით), დადასტურებული მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

3.9. თუ ანაბარზე სარგებლის დარიცხვის თარიღი ემთხვევა არასამუშაო დღეს, ანაბრის თანხისა და სარგებლის გაცემა ხორციელდება მომდევნო სამუშაო დღეს.

### 4. სადეპოზიტო ანგარიშის დადებულება და ბლოკირება

4.1. სადეპოზიტო ანგარიშის დადებულება ხორციელდება მხოლოდ კლიენტის განკარგულებით და/ან თანხმობით, გარდა მოქმედი კანონმდებლობით, წინამდებარე პირობებით, ხელშეკრულებით, ბანკთან დადებული დაკრედიტების ხელშეკრულებებით და/ან უზრუნველყოფის ხელშეკრულებით განსაზღვრული შემთხვევებისა.

4.2. ბანკი უფლებამოსილია, მოქმედი ხელშეკრულებების და მათში შეტანილი ცვლილებებიდან, ასევე ბანკის მაკორექტირებელი გატარებებიდან გამომდინარე კლიენტის მხრიდან ნებისმიერი დავალიანების ან ნებისმიერი სხვა საკომისიოსა თუ სხვა ნებისმიერი გადასახდელი თანხის არსებობის შემთხვევაში დაადებულოს კლიენტის ანგარიში მისი წინასწარი თანხმობის (აქცეპტის) გარეშე.

4.3. სადეპოზიტო ანგარიშზე ოპერაციების შეჩერება და მასზე არსებული თანხის დაბლოკვა მოქმედი კანონმდებლობით დადგენილ შემთხვევებში, აგრეთვე ხელშეკრულების პირობებიდან გამომდინარე, ბანკის მიერ ხორციელდება კლიენტის თანხმობის გარეშე.

## 5. სარგებელი ანაბარზე

5.1. ანაბარზე სარგებლის დარიცხვა და გაცემა ხორციელდება ხელშეკრულებაში მითითებული სარგებლის განაკვეთის მიხედვით. სარგებლის დარიცხვა ხორციელდება სადეპოზიტო ანგარიშზე თანხის ჩარიცხვის მომდევნო დღიდან ანაბრის ვადის ბოლო დღის ჩათვლით (არ გაითვალისწინება პირველი და გაითვალისწინება ბოლო დღე).

5.2. სარგებლის გაანგარიშებისას გაითვალისწინება დღეთა ზუსტი რაოდენობა (კალენდარის მიხედვით), ამასთან, წელიწადში დღეთა რაოდენობად 365 დღე მიიღება.

## 6. ანაბრის დაბრუნება და საანაბრო ანგარიშის დახურვა.

6.1. ანაბრის დაბრუნება ბანკის მიერ ხდება ხელშეკრულებაში მოცემული ვადის დადგომისას (ანუ ანაბრის ვადის დასრულების დღეს) უნაღდო ანგარიშსწორებით ანაბრის თანხის კლიენტის მიმდინარე ანგარიშზე (რომელიც ხელშეკრულებაშია მითითებული) გადატანის გზით.

6.2. ხელშეკრულების ვადაზე ადრე შეწყვეტის ან მის შესრულებაზე უარის თქმის შემთხვევაში, ანაბრის დაბრუნება ხდება 5 სამუშაო დღის განმავლობაში, თუ ხელშეკრულების პირობების თანახმად სხვა რამ არ იქნება განსაზღვრული.

6.3. იმ შემთხვევაში თუ კლიენტმა გამოითხოვა ანაბარი ხელშეკრულებაში მითითებული ვადის დადგომამდე, ხელშეკრულება წყდება და სადეპოზიტო ანგარიში ექვემდებარება დახურვას.

6.4. ნებისმიერი მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში მხარეები ვალდებული არიან შეასრულონ ყველა შეუსრულებელი ვალდებულება. კლიენტი თანახმაა მასხედ, რომ ბანკი უფლებამოსილია სადეპოზიტო ანგარიშის დადებულების გზით დაიკმაყოფილოს კლიენტის მიმართ არსებული ყველა პრეტენზია.

6.5. კლიენტის ინიციატივით ანაბრის ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, ხელშეკრულების პირობები ჩაითვლება დარღვეულად, რასთან დაკავშირებითაც ბანკი უფლებამოსილია დაუკავოს კლიენტს დარიცხული სარგებელი, განახორციელოს სხვა ქმედებები, რაც გათვალისწინებულია წინამდებარე პირობებით და ხელშეკრულებით.

## 7. მხარეთა უფლება-მოვალეობები

### 7.1. კლიენტი ვალდებულია:

7.1.1. ხელშეკრულების პირობების შესაბამისად გადარიცხოს თანხები ბანკის მიერ გახსნილ კლიენტის სადეპოზიტო ანგარიშზე;

7.1.2. აცნობოს ბანკს კლიენტის სადეპოზიტო ანგარიშის არსებობასთან დაკავშირებული ყველა იმ ცვლილების შესახებ, რაც მნიშვნელოვანია ან შეიძლება მნიშვნელოვანი გახდეს ბანკისათვის;

7.1.3. შეამოწმოს ბანკისაგან მიღებული კორესპონდენცია წინამდებარე პირობების შესაბამისად.

### 7.2. ბანკი ვალდებულია:

7.2.1. კანონმდებლობით და ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში ჩარიცხოს ანაბრის თანხა სადეპოზიტო ანგარიშზე.

7.2.2. აწარმოოს სადეპოზიტო ანგარიშზე ჩარიცხული თანხების აღრიცხვა;

7.2.3. დაარიცხოს ანაბარს სარგებელი ხელშეკრულების პირობების შესაბამისად;

7.2.4. დაიცვას საბანკო საიდუმლოება. კლიენტის თანხმობის გარეშე ანაბართან დაკავშირებული ინფორმაციის მესამე პირებზე გაცემა დასაშვებია მხოლოდ მოქმედი კანონმდებლობით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

### 7.3. ბანკი უფლებამოსილია:

7.3.1. შეცვალოს (მათ შორის შეამციროს) ანაბრებზე სარგებლის განაკვეთები საკუთარი გადაწყვეტილებისამებრ და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ ხელშეკრულებით დადგენილ ვადებში აცნობოს კლიენტს

7.3.2. თუ კლიენტი არ ეთანხმება ბანკის მიერ განახლებულ პირობებს მაშინ ხელშეკრულება წყდება და ბანკი უბრუნებს კლიენტს ანაზრის თანხას და დარიცხულ სარგებელს ხელშეკრულებით განსაზღვრული პირობების შესაბამისად.

7.3.3. კლიენტის სასარგებლოდ თანხის შეცდომით ჩარიცხვის ფაქტის დადგენის შემთხვევაში, ამ შეცდომის აღმოფხვრის მიზნით, განახორციელოს აღნიშნული თანხის ამოღება (ჩამოწერა) კლიენტის ანგარიშიდან მისი შესაბამისი დავალების/თანხმობის გარეშე.

## **8. მხარეთა პასუხისმგებლობა**

8.1. ბანკი არ აგებს პასუხს კლიენტისათვის მიყენებული ზარალისათვის მოქმედი კანონმდებლობით უფლებამოსილი ორგანოების მიერ ყადაღის დადების, კლიენტის ანგარიშებზე ოპერაციების შეჩერებისა და თანხების ამოღების შემთხვევაში.

8.2. ხელშეკრულებების პირობების დარღვევის შემთხვევაში მხარეები პასუხს აგებენ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

8.3. ბანკის მიზეზით ანაზრის დაგვიანებით დაბრუნების შემთხვევაში სარგებლის ანაზღაურება ბანკის მიერ ხდება ანაზრის ფაქტიური სარგებლობის პერიოდის გათვალისწინებით.

## **9. ანაზრის უზრუნველყოფად გამოყენების შეზღუდვები**

9.1. კლიენტის ანაზარი შეიძლება იქნას გამოყენებული უზრუნველყოფის სახით.

9.2. უზრუნველყოფის საგნად გამოყენებული ანაზრის სადეპოზიტო ანგარიში ექვემდებარება დაბლოკვას. ბანკის წინასწარი თანხმობის გარეშე გასავლის ოპერაციების წარმოება აღნიშნულ ანგარიშზე იკრძალება მოვალის მიერ ყველა ვალდებულების სრულად შესრულებამდე.

9.3. უზრუნველყოფის საგნად გამოყენებულ ანაზარზე სარგებლის დარიცხვა ხორციელდება ხელშეკრულების პირობების შესაბამისად.

9.4. უზრუნველყოფის საგნად გამოყენებულ ანაზარზე აკრძალვის ან შეზღუდვის მოხსნა გასავლის ოპერაციების წარმოებაზე შესაძლებელია მხოლოდ ბანკის სპეციალური გადაწყვეტილების საფუძველზე.

9.5. თუ ანაზარი წარმოადგენს სესხის უზრუნველყოფის საგანს და/ან კლიენტის მხრიდან ბანკისადმი არსებობს შეუსრულებელი ვალდებულებები, ბანკი უფლებამოსილია ცალმხრივად ამოიღოს სრულად ან ნაწილობრივ ანაზრის და/ან სარგებლის თანხა. სესხის და/ან ბანკისადმი სხვა შეუსრულებელი ვალდებულებების დასაფარად ანაზრის თანხის ნაწილობრივად ამოღების შემთხვევაში, ანაზრის ანგარიში არ იხურება და ანაზრის ნაშთი ინახება სადეპოზიტო ანგარიშზე, მაგრამ ხელშეკრულების პირობები ითვლება დარღვეულად კლიენტის მიერ. ამასთანავე, სარგებლის დარიცხვა ანაზარზე ანაზრის გახსნიდან ამოღების დღემდე და ამოღების შემდგომაც ხორციელდება “მოთხოვნამდე ანაზრის” სარგებლის განაკვეთის მიხედვით. ბანკის მიერ თანხის ნაწილობრივი ან სრული ამოღების შემთხვევაში, აღნიშნული პუნქტით მოცემულ შემთხვევებში, კლიენტი უფლებამოსილია შეავსოს შესაბამისი ანაზრის ხელშეკრულებაში მითითებულ თანხამდე.

## **10. კონფიდენციალობის დაცვა**

10.1. ბანკი მიიღებს ყველა მასზე დამოკიდებულ ზომას კლიენტის სადეპოზიტო ანგარიშსა და ანაზრის შესახებ არსებული ინფორმაციის კონფიდენციალობის დასაცავად.

10.2. ბანკი არ არის პასუხისმგებელი თუ კონფიდენციალობის მოთხოვნა იქნა დარღვეული თავად კლიენტის მიზეზით კონფიდენციალობასთან დაკავშირებით ბანკის რეკომენდაციების დაუცველობის გამო, შედეგად იყო ან გახდა ცნობილი მესამე პირებისათვის სხვა წყაროებიდან.

10.3. ბანკი არ არის უფლებამოსილი კლიენტის წერილობითი თანხმობის გარეშე გაუმჟღავნოს რომელიმე მესამე პირს სადეპოზიტო ანგარიშთან, კლიენტთან, მის საქმიანობასთან დაკავშირებული ინფორმაცია. ეს ვალდებულება არ ვრცელდება იმ შემთხვევებზე, როცა ამგვარი გამჟღავნება მოითხოვება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

## **11. ფორს-მაჟორი**

11.1 დაუძლეველი (ფორს-მაჟორული) ძალის ამოქმედების შემთხვევაში ვალდებულებების შესრულება ბანკის მხრიდან მეანაბრის მიმართ ჩერდება ფორს-მაჟორული გარემოებების ლიკვიდაციამდე. ფორს-მაჟორულ გარემოებებად ითვლება: სტიქიური უბედურება, ომი, ტერაქტები, სამხედრო/სამოქალაქო გადატრიალებანი, სახალხო მღელვარება, გაფიცვები, შეიარაღებული კონფლიქტები, ბლოკადები, ენერგომატარებლებისა და კავშირგაბმულობის ობიექტების პარალიზებანი, ასევე სხვა დაუძლეველი ძალა, მათ შორის სახელმწიფო ორგანოების მიერ ისეთი აქტების მიღება, რაც გამოიწვევს ბანკის მხრიდან ვალდებულებების შესრულების შეუძლებლობას მეანაბრის მიმართ.

## **12. დასკვნითი დებულებები**

12.1. თუ წინამდებარე პირობების რომელიმე დებულება და ხელშეკრულება დაკარგავს ძალას, ნებისმიერი მიზეზიდან გამომდინარე აღიარებულ იქნება კანონგარეშედ. აღნიშნულმა გარემოებამ არ უნდა იმოქმედოს მოცემულ დოკუმენტებში არსებულ სხვა დებულებების ნამდვილობასა და კანონიერებაზე მითუმეტეს, რომ მხარეები შეთანხმდნენ, რომ განახორციელებენ ყველაწარმოადგინებულ ძალისხმევას აღნიშნული დებულებების შესაცვლელად.

12.2. ბანკი უფლებამოსილია შეიტანოს ცვლილებები წინამდებარე პირობებში.

12.3. მხარეებს შორის ხელშეკრულების ფარგლებში და მისი შესრულების მიზნით არსებული მთლიანი მიმოწერა უნდა იქნას შედგენილი ქართულ ენაზე, თუ მხარეები არ შეთანხმდნენ სხვაგვარად. თუ მიმოწერა ხორციელდება მხარეთა მიერ შეთანხმებულისაგან განსხვავებულ ენაზე, მას თან უნდა ახლდეს თარგმანი ქართულ ენაზე.

12.4. მხარეების მიერ საკუთარი მისამართის, ელფოსტის ან ტელეფონის ნომრის, ან სხვა რეკვიზიტების ცვლილების შემთხვევაში, მათ დროულად უნდა აცნობონ ერთმანეთს აღნიშნულის შესახებ, შესაბამისი ცვლილების შემდეგ არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღისა.

12.5. ყველა ის საკითხი, რაც არ რეგულირდება ხელშეკრულებითა და წინამდებარე პირობებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით.